

საქართველოს სსრ

საპროლეტარული კულტურის განვითარების, შექმნის, შექმნის

22 თებერვალი, ოთხშაბათი, 1989 წ. № 37 (9956) © შპს 3 კბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

საერთო ეროვნული საქმე

რესპუბლიკურ პრესაში საქარო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და დამაგრების სახელმწიფო პროგრამის პროექტი. ეს პროექტი, რომლის განხილვას და მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ერის ცხოვრებაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობითა და დავალებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და დამაგრების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა, ხელოვნებისა და ლიტერატურის ცნობილ მოღვაწეთა, ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიმუშავა.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებს პარტიისა და მთავრობის, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ზრუნვას ეროვნული მემკვიდრეობითობის გადარმაღება-განმტკიცებისათვის. უველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა და დამაგრება კონსტიტუციური და საკანონმდებლო სტატუსით იქნეს გარანტირებული. სწორედ ეს გახლავთ სახელმწიფო პროგრამის მთავარი ამოცანა.

არ გვეგულებოდა ჩვენი ცხოვრების არც ერთი დარგი და სფერო, ამ დიდმნიშვნელოვან აქციას რომ გვერდი აუაროს და თავისი წვლილი არ შეიტანოს პროექტის საქარო განხილვაში. ეს თითოეულისა და უველას საერთო ეროვნული საქმეა.

პროექტის განხილვაში, მის მიღებასა და შემდგომ პროგრამის განხორციელებაში უთუოდ თავის წვლილს შეიტანენ ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები. ჩვენი რედაქცია მზად არის გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაუთმოს პროექტის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმედი გვაქვს, ფიზკულტურელები და სპორტსმენები ჩვენი ეროვნული სიმდიდრის — ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და დამაგრების საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ. ისინი მუდამ იყვნენ ჩვენი ძეგლების ჰუმანიტარული მეგობრები, შეფები. მუშაობდნენ ხარისხიანად, საშუალოდ, ამიერიდან კი ამ მხრივ გაწეული საქმიანობა უფრო მიზნობრივი და კონკრეტული იქნება.


ველით თქვენს გამოხატულებას, ძვირფასო მეგობრებო!

დინამოელთა სანგონელო მატჩი

შავი ზღვის სანაპიროზე წინასასწორი საწვრთნელ ვარჯიშზე მყოფმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მორიგი საწვრთნელი მატჩი გამართეს როსტოვის „როსტსელმასთან“. თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 1:0, გოლი მ. აფციაურმა გაიტანა.



საქართველოს სსრ
ეროვნული ბიბლიოთეკა
საპროლეტარული
ტრადიციული
ტურნირი
ქიქლოში



მონაწილეობენ აშშ-ის, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, ბრაზილიის, კორეის, გერმანიის, ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, მონგოლეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.
შეჭიბვების დასაწყისი 18 ს.

აღვა-ინფორმაცია

გუშინ ბაქოში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელობა საქართველო ჩემპიონატის მეორე ტური. თბილისელმა დინამოელებმა დამარცხეს ალმათელი თანაკლებელი დეროზი.

„ოლიმპეა საქართველო“

ასეთი ლამაზი სპორტული ალბომი ჩვენში, თუ არ ვცდებით, არც გამოსულა. ალბომი მას პირიპირად შეიძლება ეწოდოს, თორემ უფრო კალენდრის დანიშნულებას ასრულებს და მთლიანად ოლიმპიურ თემას ეძღვნება. სეულის თამაშები ამ კალენდარში ჩვენი რესპუბლიკის იმ სპორტსმენებით არის წარმოდგენილი, რომლებმაც ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილები მოიპოვეს. კალენდარს ბოლოში დართული აქვს საინტერესო სტატისტიკური ცნობები ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის შესახებ. ვისაც უყვარს ქართული სპორტი, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ოლიმპიელთა წარმატებები, სიამოვნებით შეიძინოს ალბომი კალენდარს, რომელიც შეადგინა გ. მამულაშვილმა ფოტოკორესპონდენტ გ. ლათიკაშვილის ფერადი ფოტოების გამოყენებით. კალენდარი გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ (დაიბეჭდა კიევში) და ღირს 5 მანეთი. ეს კალენდარი, რომელსაც ჰქვია „ოლიმპეა საქართველო“, ძიუდოში საერთაშორისო ტურნირის დღეებში (ხვალედან) გაიყიდება თბილისის სპორტის სასახლეში.

ბულგარეთი — სსრ კავშირი

1:2

სოფია. 21 თებერვალი. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. თამაში დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 2:1. ბურთები გაიტანეს: კოსტადინოვა, ბოროდუევი და რაქოვა.
წინა დღეს შედგა ამ ქვეყნების ახალგაზრდული ნაკრები გუნდების (23 წლამდე) შეხვედრა. იგი მოიგეს ბულგარელებმა ფეხბურთელებმა — 1:0. გოლი მე-13 წუთზე გაიტანა დიმიტროვმა.

<p>ოლიმპეა 1989</p>	<p>გზნადარი</p>	<p>თბილისელი</p>	<p>ბარბი</p>	<p>პარილი</p>	<p>ბასი</p>
<p>ავისი</p>	<p>ბასი</p>	<p>ბასი</p>	<p>სიმბაზირი</p>	<p>ბარბი</p>	<p>ბარბი</p>

